

## სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო აცხადებს დეკანის არჩევნებს

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის და სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის თანახმად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო აცხადებს კონკურსს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად:

დეკანად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

კანდიდატებმა განცხადება უნდა წარადგინონ სამშენებლო ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას უნდა დაერთოს:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ცნობა დაკავებული თანამდებობის შესახებ;
3. სამოქმედო გეგმა;
4. ინფორმაცია განათლების, შრომითი გამოცდილების, აკადემიური ხარისხის თაობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყება 2016 წლის 22 აპრილს და დასრულდება 28 აპრილს. განცხადებების მიღება იწარმოებს ყოველ დღე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში, სტუ-ს I კორპუსი, V სართული, ოთახი 525<sup>ა</sup>, კომისიის მდივანი ასოც. პროფესორი რამაზ ჟღენტი (საკონტაქტო ტელ.: 595 54-55-28).

2016 წლის 4 მაისს (16.00 სთ) მოხდება კანდიდატთა მიერ სამოქმედო პროგრამის საჯაროდ წარდგენა ფაკულტეტის საბჭოში. არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 5 მაისს.

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.

65 წლისა და მეტი ასაკის პირის მიერ დეკანის თანამდებობის დაკავების საკითხს ინდივიდუალურად წყვეტს აკადემიური საბჭო, ამ საკითხზე აკადემიურ საბჭოს დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს განცხადებით (განცხადების წარდგენის ვადა - 2016 წლის 22 აპრილი, 10 საათიდან 17 საათამდე).

არჩევნები ჩატარდება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

ფაკულტეტის საბჭო